საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-08/50

ქ. ბათუმი 14 სექტემბერი, 2016 წ.

2016-2017 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–13 მუხლის, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე დარგობრივი დეპარტამენტის შექმნის, რეორგანიზაციისა და მათი ხელმძღვანელების დანიშვნის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 აგვისტოს N68 დადგენილების, საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ში 2016-2017 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით დაევალოს ფაკულტეტების დეკანებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებს 2016 წლის 26 სექტემბრამდე უზრუნველყონ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული შემდეგი სამართლებრივი აქტების (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის აქტების და ბსუ-ს მართვის ორგანოთა აქტების) შესაბამისი ფაკულტეტის პერსონალისათვის გაცნობა:

1.1. ბსუ-ს სამართლებრივი აქტები:

ა) **„იმ აბიტურიენტთა რეგისტრაციის წესისა და ვადების განსაზღვრის შესახებ, რომლებმაც 2016 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე მოიპოვეს სწავლის უფლება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში“** ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 19 აგვისტოს N01-08/45 ბრძანება (განთავსებულია ბსუ-ს ვებგვედზე ველში „სწავლა“-„აკადემიური კალენდარი“);

ბ) **„2016-2017 სასწავლო წლის შემდგომის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ“** ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 19 აგვისტოს N01-08/44 ბრძანება (განთავსებულია ბსუ-ს ვებგვედზე ველში „სწავლა“-„აკადემიური კალენდარი“);

გ) **„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“** ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილება (კოდიფიცირებული დადგენილება განთავსებულია ბსუ-ს ვებგვედზე

ველში ,,ჩვენს შესახებ"-,,იურიდიული ცნობარი"- საუნივერსიტეტო აქტები-საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები);

დ) **,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016-2017 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ"** ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 6 ივლისის N40 დადგენილება (განთავსებულია ბსუ-ს ვებგვედზე ველში ,,სწავლა"-,,აკადემიური კალენდარი"), ასევე „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016-2017 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ" ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 06 ივლისის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის N71 დადგენილება;

ე) **,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ''** ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილება (კოდიფიცირებული გადაწყვეტილება განთავსებულია ბსუ-ს ვებგვედზე ველში ,,ჩვენს შესახებ"-,,იურიდიული ცნობარი"- საუნივერსიტეტო აქტები-საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები);

ვ) **,,სტუდენტის გზამკვლევი"** (განთავსებულია ბსუ-ს ვებგვედზე ველში ,,სწავლა", ასევე ველში ,,სტუდენტური ცხოვრება". აქ იხილავთ ცალკეული მიმართულებებით, თემატურად ჩაშლილ ინფორმაციას, რომელსაც თან ერთვის ბსუ-ს სამართლებრივი აქტები, კოდიფიცირებული მოქმედი რედაქციით)

ზ) **,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე დარგობრივი დეპარტამენტის შექმნის, რეორგანიზაციისა და მათი ხელმძღვანელების დანიშვნის წესის დამტკიცების შესახებ"** ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის N68 დადგენილება (განთავსებულია ბსუ-ს ვებგვედზე ველში ,,ჩვენს შესახებ"-,,იურიდიული ცნობარი"- საუნივერსიტეტო აკადემიური საბჭოს აქტები);

თ) **,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის პროგრამების განხორციელებისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ"** ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N112 დადგენილება (კოდიფიცირებული დადგენილება განთავსებულია ბსუ-ს ვებგვედზე ველში ,,ჩვენს შესახებ"-,,იურიდიული ცნობარი"- საუნივერსიტეტო აქტები-საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები);

ი) **,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური/საათობრივი დატვირთვის, ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე"** ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3 გადაწყვეტილება (დაგზავნილია ყველა ფაკულტეტისათვის და ადმინისტრაციული თანამდებობის პირებისათვის ელექტრონული საქმისწარმოების შესაბამისად და განთავსდება ბსუ-ს ვებგვედზე ველში ,,ჩვენს შესახებ"-,,იურიდიული ცნობარი"- საუნივერსიტეტო აქტები-საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები);

კ) **სტუდენტის ცოდნის შეფასების უწყისის ფორმისა და რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ'** ბსუ-ს რექტორის 2015 წლის 11 ნოემბრის N01-08/53 ბრძანება (განთავსებულია ბსუ-ს ვებგვედზე ველში ,,ჩვენს შესახებ"-,,იურიდიული ცნობარი"- საუნივერსიტეტო აქტები-საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები);

ლ) **,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ"** ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 16 თებერვლის N01-08/6 ბრძანება (განთავსებულია ბსუ-ს ვებგვედზე ველში ,,ჩვენს შესახებ"-,,იურიდიული ცნობარი"- საუნივერსიტეტო აქტები-საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები);

მ) **,,გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 5 თებერვლის N5 დადგენილება** (დადგენილება განთავსებულია ბსუ-ს ვებგვედზე ველში ,,ჩვენს შესახებ"-,,იურიდიული ცნობარი"- საუნივერსიტეტო აქტები-საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები);

1.2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის აქტები:

ა) **,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება** (კოდიფიცირებული აქტი განთავსებულია ბსუ-ს ვებგვედზე ველში ,,ჩვენს შესახებ"-,,იურიდიული ცნობარი"- ნორმატიული აქტები- საქართველოს კანონმდებლობა);

ბ) **,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ"** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანება (კოდიფიცირებული აქტი განთავსებულია ბსუ-ს ვებგვედზე ველში ,,ჩვენს შესახებ"-,,იურიდიული ცნობარი"- ნორმატიული აქტები- საქართველოს კანონმდებლობა);

გ) **,,სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადატანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ"** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 15 სექტემბრის N154/ნ ბრძანება (კოდიფიცირებული აქტი განთავსებულია ბსუ-ს ვებგვედზე ველში ,,ჩვენს შესახებ"-,,იურიდიული ცნობარი"- ნორმატიული აქტები- საქართველოს კანონმდებლობა);

დ)**,,მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა დაფინანსების მოცულობისა და ოდენობის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 24 აგვისტოს N415 დადგენილება** (განთავსდება ბსუ-ს ვებგვედზე ველში ,,ჩვენს შესახებ"-,,იურიდიული ცნობარი"- ნორმატიული აქტები- საქართველოს კანონმდებლობა).

2.დაევალოს თითოეული ფაკულტეტის დეკანს, უზრუნველყოს შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისათვის და 3 წლის სამუშაო გამოცდილების მქონე პირებთან შრომითი ხელშეკრულებების გასაფორმებლად ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენა, საჭიროების შემთხვევაში ვაკანტურ საათებზე პერსონალის მოწვევისათვის კონკურსის გამოსაცხადებლად წინადადებების, ასევე 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაციის შედეგების საფუძველზე სამსახურებრივი ბარათების წარმოდგენა და სამართლებრივი აქტების გამოცემა.

3. ბრძანება აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს ფაკულტეტებს და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

4. ბრძანება ძალაშია 2016 წლის 14 სექტემბრიდან.

რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**